ჩატარებული საველე გამოცდების პერიოდში „გიომეტრინით“ დამუშავდა 1879 სული მსხვილი რქოსანი საქონელი (მეწველი, მოზარდი, ხბო). ცხოველების დამუშავება ხდებოდა პრეპარატის „გიომეტრინი“-ს წყალში 1:50 თანაფარდობით გახსნის შედეგად მიღებული რძისმაგვარი სამუშაო ხსნარით. დამუშავებამდე და დამუშავების შემდეგ ტარდებოდა ცხოველთა კლინიკური მდგომარეობის შემოწმება (წნევა, პულსი, ტემპერატურა). არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა პრეპარატით დამუშავების შემდეგ ცხოველის კლინიკური მდგომარეობის გაუარესებისა.

პრეპარატ „გიომეტრინით“ დამუშავების შემდეგ პირუტყვის კანის საფარველზე არსებული ნახევრად მშიერი და მშიერი იმაგოების პარალიზება ხდებოდა დამუშავებიდან 10-20 წთ-ის შემდეგ. მაძლარი დედალი ტკიპები პარალიზდებოდნენ კანტანიმაციიდან 15-20 წუთში. შეგროვილი დედალი ტკიპებიდან არც ერთმა არ გამოამჟღავნა კვერცხის დადების უნარი. მათი დანოცვა დაფიქსირდა 4-5 დღის შემდეგ.

„გიომეტრინი“-ს აკარიციდული მოქმედების ხანგრძლივობა თითქმის ორჯერ აღემატება არსებული იმპორტული პრეპარატებისას. გიომეტრინით დამუშავებულ ცხოველების კანის საფარველზე პარაზიტული ტკიპას ერთეული ინდივიდების გამოჩენა შეინიშნება დამუშავებიდან 25-ე - 28-ე დღეს, ხოლო სისხლისმწოვი ზოოფილური ბუზებისგან პირუტყვი დაცული იყო 16-18 დღე. გამოყენებული იმპორტული აკარიციდული პრეპარატების შემთხვევაში ცხოველების კანის საფარველზე პარაზიტული ტკიპას არსებობა დაფიქსირდა დამუშავებიდან მე-10 - მე-12 დღეს, ხოლო ბუზების თავდასხმა მე-5 - მე-7 დღეს.

ჩატარებული გამოცდების შედეგად მოსახლეობამ და ფერმერებმა თავად დაინახეს ჩვენი პრეპარატის უპირატესობა. „გიომეტრინის“ გამოყენებით მნიშვნელოვნად მცირდება პირუტყვის დამუშავების ჯერადობა და სეზონის განმავლობაში ტკიპების თავდასხმისაგან გარანტირებულად დაცვისათვის საკმარისია საქონლის „გიომეტრინით“ მხოლოდ 8-9-ჯერადი დამუშავება, რის შედეგადაც 40%-ით მცირდება გამოსაყენებელი პრეპარატის რაოდენობა. თუ მხდველობაში მივიღებთ ემულსიური პრეპარატის იმპორტულთან შედარებით 10-15%-ით ნაკლებ ღირებულებას, „გიომეტრინი“-ს გამოყენებით ცხოველების ექტოპარაზიტებისგან დაცვაზე გაწეული დანახარჯები მთლიანობაში შეეცირდება თითქმის 2-ჯერ, რასაც ადასტურებს ცხრილი 1-ში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 1. „გიომეტრინი“-ს ეფექტურობა იმპორტულ აკარიციდულ პრეპარატთან შედარებით

პრეპარატი	აკარიციდული აქტივობა, დღე	დამუშავების ჯერადობა სეზონზე	პრეპარატის ხარჯი 1 სულ საქონელზე, მლ	გახარჯული პრეპარატის ღირებულება, ლარი
პირეტროიდი	12-15	15	30	1,5
გიომეტრინი	22-25	8-9	17	0,76

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოხდა მიზნობრივი კლიენტების დაინტერესება აღნიშნული პრეპარატით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში პრეპარატის რეალიზაციას და მის უფრო სწრაფ დამკვიდრებას საქართველოს ბაზარზე.

„გიომეტრინი“ სრულად აკმაყოფილებს ვეტერინარული პრეპარატებისადმი წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს: არის 1. გამოსაყენებლად მარტივი და ადვილად მოსახმარებელი; 2 ცხოველებსა და ადამიანების ჯამრთელობისათვის უსაფრთხო; 3. არა აქვს კუმულაციური თვისებები; 4. ახასიათებს მოქმედების ფართო სპექტრი და გახანგძლივებული აკარიციდული მოქმედების ეფექტი; 6. შენახვის პირობებში არ ხდება ფიზიკურ-ქიმიური მასსიათებლების ცვლილება; 7. ვარგისია დამზადებიდან 3 წლის განმავლობაში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე პრეპარატ „გიომეტრინი“-ს ფართომასშტაბიანი გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებას და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდას.

### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Новиков Т.В. и др.* Экология иксодовых клещей и эпизоотология передаваемых ими заболеваний. “Ветеринария”. 2004, № 11, с.32.
2. *Балашов Ю.С.* Кровососующие клещи (Ixodidae) переносчики болезней человека и животных. Л. 1967.
3. *Антикова Л.П. и др.* Иксодовые клещи (Acogia Ixodidae), клещевой энцефалит, клещевой барелиоз (болезни Лаима) на территории города Санкт-Петербурга. Проблемы энтомологии в России. 1998, т. 1, с. 41-43.

### NEW EFFECTIVE DRUG "GIOMETRIN" AGAINST PARASITIC MITES OF ANIMALS

Omar Lomtadze, Givi Chimakadze, Ketevan Ebralidze, Nunu Shalvashvili, Amiran Ramishvili  
*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry of Tbilisi State University*

### SUMMARY

Was developed emulsion drug "Giometrin" with prolonged acaricidal action, to protect animals from attack by parasitic mites. Field tests "Giometrin" were conducted in different geographical and climatic zones Georgia. Was shown that the cost of protective measures which been performed using "Giomtrin" almost two times lower than the costs using imported acaricidal drugs.

### НОВЫЙ ЭФФЕКТИВНЫЙ ПРЕПАРАТ «ГИОМЕТРИН» ПРОТИВ ПАРАЗИТАРНЫХ КЛЕЩЕЙ ЖИВОТНЫХ

Омар Ломтадзе, Гиви Чимакадзе, Кетеван Эбралидзе, Нуну Шалвашивили, Амиран Рамишвили  
*Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили,  
Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили*

### РЕЗЮМЕ

Разработан композиционный препарат «ГИОМЕТРИН» использованием синтетического пиретроида и высокостабильной водомасляной эмульсии. По акарицидной активности полученный препарат почти два раза превосходит существующих импортных акарицидных препаратов.

## წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მტკნარ წყლებში ქლორისა და იოდის რაოდენობის განსაზღვრა

მანუჩარ კიკალიშვილი, მადონა კუხალიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მტკნარ წყლებში პირველად იქნა განსაზღვრული ქლორისა და იოდის იონების შემცველობა წყლის ოცდახუთ ნიმუშში წელიწადის სხვადასხვა დროს, რისთვისაც შერჩეული იქნა განსაზღვრის შედარებით მარტივი და სწრაფი გზები ქლორისათვის - მერკურომეტრული, ხოლო იოდისათვის რეზინიკოვას მეთოდები. შესწავლილი ნიმუშებიდან ქლორის შემცველობა საშუალოდ ყველაზე მეტია №14 ჭის წყალში (153,4 მგ/ლ) და მცირეა №2 ჭის წყალში (11,4 მგ/ლ). დანარჩენ წყლებში ქლორის რაოდენობა მერყეობს 21,4-93,3 მგ/ლ-დე. იოდის შემცველობა ყველაზე მეტია №4 (12,0 მიკრგ/ლ), №17 (12,0 მიკრგ/ლ) და №6 (12,4 მიკრგ/ლ) ჭის წყლებში. დანარჩენ წყლებში იოდის შემცველობა 2,0-11,0 მიკრგ/ლ-მდეა. ყველაზე დიდი რაოდენობით ქლორსა და იოდს შეიცავს ზაფხულში აღებული წყლები, რაც უკავშირდება ივნის-ივლისის თვეში უხვი ატმოსფერული ნალექების რაოდენობას.

საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რამაც განაპირობა მისი ბუნების მრავალფეროვნება. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადიული თოვლითა და მყინვარებით, და ამ მრავალფეროვანი ბუნების მქონე ქვეყნის ერთერთი გამორჩეული მხარეა იმერეთი. იმერეთში რამდენიმე თვითმმართველი ქალაქი და რაიონია, ერთერთი წყალტუბოს რაიონია [1].

წყალტუბოს რაიონი გაშენებულია ეგრეთწოდებული წყალტუბოს ტალღოვანი ვაკის ზონაში. მისი რელიეფი ვაკე და ბორცვიანია, რის გამოც ახასიათებს ერთფეროვანი კლიმატური რეჟიმი, ჰავა - ნოტიო სუბტროპიკული, იცის თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული.

რაიონის მნიშვნელოვანი მდინარეებია: სემი, რომელიც რაიონისთვის ტრანზიტულია, ყუმის წყალი, ცხუნკურელა, კილასკურა, თავუკულმა დელე და სხვ. კვდომის პროცესში იმყოფება წყალტუბოს ტბა.

რაიონში გაბატონებულია კორდიან-კარბონატული, ძლიერ ხირხატიანი, გაკულტურებული საშუალო და დიდი სისქის კორდიან-კარბონატული, ალუვიური და ყვითელმიწა ნიადაგები. რაიონის დაბლობ ზონაში ადრე კოლხური ტიპის ტყე იყო გავრცელებული, მაგრამ ადამიანის უარყოფითი ზემოქმედებით იგი განადგურდა და ახლა მისი მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი.

წყალტუბოს რაიონი განთქმულია მიწისქვეშა კარსტული მღვიმეებით, შახტებით და მიწისქვეშა წყლებით. ესენია: პრომეთეს მღვიმე, სათაფლიის მღვიმე, შახტი ქარიანი, შახტი ხრამები და სხვ.

წყალტუბოს ძირითადი სამკურნალო ფაქტორია უნიკალური მინერალური წყალი (სუსტად რადონული, აზოტური, ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-სულფატური, ნატრიუმიან-კალციუმიან-მაგნიუმიანი), რომელსაც საკმაოდ მდგრადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები აქვს. წყაროების დღე-ღამური დებიტი 18-20 მლნ ლ.; ტემპერატურა - 33-35°C; იყენებენ აბაზანებისათვის, შესასხურებლად. სამკურნალო ფაქტორია აგრეთვე კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი, რომელიც კარგად მოქმედებს ჰიპერტონულ დაავადებებზე, ჰიპოტონიაზე, ბრონქულ ასთმაზე, ნევროზზე და სხვ.

წყალტუბოდან სულ რაღაც 3 კმ-ის დაშორებით მდებარეობს სოფელი გვიშტიბი. იგი გაშენებულია წყალტუბოს კირქვული მასივის ანუ ტალღოვანი ვაკის დასავლეთ ნაწილში. ისტორიკოსების ცნობით სიტყვა გვიშტიბი გულში თბილს ნიშნავს. ცნობილია, რომ ძალიან დიდი ხნის წინათ ამ ტერიტორიაზე თბილი წყალი ამოდიოდა, რომელსაც დიდი სამკურნალო მნიშვნელობა ჰქონდა.

გვიშტიბი დიდი, მჭიდროდ დასახლებული სოფელია. მოსახლეობა სასმელად და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებს გრუნტის წყლებს, რომელთა გამოკვლევას ქიმიური შემადგენლობის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს [2].

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ამ სოფლის ჭის წყლები ქლორის და იოდის შემცველობის თვალსაზრისით. ჭები ერთმანეთისაგან 300-400 მ-ით არის დაშორებული. მოცემული ჭის წყლები ჰიდროკარბონატულ-კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა.

ქლორი და იოდი მიეკუთნება ბიოლოგიურად აქტიურ ელემენტთა რიცხვს, ისინი მოიპოვებიან, როგორც დედამიწის ქერქში, ასევე მდინარეების, ტბებისა და ზღვების წყლებში.

ქლორის შემცველობა ადამიანის ორგანიზმში 0,15%-ია. ქლორი ძირითადად არაუჯერდელ სითხეშია ლოკალიზებული. იგი მონაწილეობს სისხლის ბუფერული სისტემის წარმოქმნაში, ოსმოსური წნევის რეგულირებასა და ნივთიერებათა ცვლაში. ქლორი შედის მრავალ ფერმენტულ სისტემაში. მარილმჟავა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საჭმლის მონელების პროცესში. ჯანმრთელი ადამიანის კუჭის წვენი შეიცავს დაახლოებით 0,5% მარილმჟავას. სხვადასხვა დაავადების დროს მარილმჟავას შემცველობა იცვლება. მიკრობის უჯრედებში ქლორის ატომები ურთიერთქმედებს ამინომჟავების ამინოჯგუფთან, რის შედეგადაც იშლება მათი სტრუქტურა და მიკროორგანიზმი იღუპება. ქლორს ამ თვისების გამო საღებინფექციოდ იყენებენ [3].

ადამიანის ორგანიზმში შეიცავს  $1,9 \cdot 10^{-50}\%$  იოდს. იოდის ძირითადი ფიზიოლოგიური როლი არის, მისი მონაწილეობა ფარისებრი ჯირკვლის და მის ახლო მდებარე ჯირკვლების ჰორმონების მეტაბოლიზმში. იოდის აკუმულირების უნარი დამახასიათებელია ფარისებრი და სარძევე ჯირკვლებისათვის. იგი აგრეთვე გროვდება ნერწყვში. ამჟამად თვლიან, რომ იოდი შეუცვლელ როლს ასრულებს ფარისებრი ჯირკვლის მოქმედებაში. რიგი იონები ხელს უშლიან იოდის შთანთქმას.

იოდის უკმარისობა ხასიათდება შემდეგი სიმპტომებით: სისუსტე, კანის გაყვითლება, სიცვიის შეგრძნება. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონის სიჭარბე იწვევს ორგანიზმის დაკნინებას, ნევრალგიას, წონაში დაკლებას და ოფლიანობას, რაც დაკავშირებულია პეროქსიდაზული აქტივობისა და მის ხარჯზე თირეოგლობულინების იოდირების გაზრდასთან [4].

მდინარის, წყაროს, ჭისა და სხვა წყლების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ წყლები წლის სახვადასხვა დროს შეიცავენ იოდის სხვადასხვა რაოდენობას, რაც დამოკიდებულია რიგ პირობებზე. მაგ: ქანებზე, რომლიდანაც გამოდის წყარო და შემდეგ მიედინება ადგილობრივ რელიეფში, ატმოსფერულ პირობებზე, დროზე, როცა კვლევა მიმდინარეობდა და სხვ. მტკნარ წყალსატევებში ქლორისა და იოდის რაოდენობა დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, წლის სეზონსა და დღეღამის დროზე [5].

დიდხანია შემჩნეული იყო, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც იწვევს ჩივით დაავადებას, არის იოდის უკმარისობა სასმელ წყალში.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ იქ, სადაც სასმელი წყალი ერთ ლიტრში შეიცავს 0,0001-0,001 მგ იოდს ანუ 0,1-1,0 მიკროგრამს, 1000 ადამიანიდან 15-30 კაცი დაავადებულია ჩივით, სადაც იოდის შემცველობა ლიტრში აღწევს 0,001-0,01 მგ-ს რეგისტრირებული იყო ერთი შემთხვევა 1000 ადამიანიდან. კრეტინიზმთან ბრძოლის მიზნით მთიან ადგილებში, სადაც წყალში იოდი არ არის საკმარის რაოდენობით, (ჩვენში ასეთ ადგილებს ეკუთნის სვანეთი), ჩვეულებრივ, იყიდება იოდით მდიდარი საკვები და გასაყიდ მარილს უმატებენ იოდს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სასმელი წყლის იოდირება, რადგან ის გამოიწვევს მეორე დაავადებას იოდომიინკაზს [6].


ბუნებრივ წყლებში იოდი გვხვდება ძირითადად ნატრიუმის ქლორიდის სახით (მის გარდა წყალში შეიძლება იყოს კალციუმის ქლორიდი და მაგნიუმის ქლორიდი).

ჩვეულებრივ სასმელი წყალი უნდა შეიცავდეს ნატრიუმის ქლორიდს არა უმეტეს 400 მგ/ლ, მაგნიუმის ქლორიდს-არა უმეტეს 100 მგ/ლ, კალციუმის ქლორიდს -არა უმეტეს 500 მგ/ლ. [7]

ვითვალისწინებდით რა ქლორისა და იოდის მნიშვნელობას ადამიანის ცხოველური და მცენარეული ორგანიზმების სასიცოცხლო პროცესების წარმართვაში, ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მტკნარ წყლებში ქლორისა და იოდის შემცველობა და დაგვედინა მისი გამოყენება სასმელად ქლორისა და იოდის შემცველობის მიხედვით. საკითხის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ წყლებში პირველად იქნა განსაზღვრული ქლორისა და იოდის იონების შემცველობა, რისთვისაც შეირჩა მგრძნობიარე მეთოდები.

კვლევა ტარდებოდა ნიმუშის აღებიდან 5 დღის შემდეგ. ქლორი და იოდი ისაზღვრებოდა სოფელ გვიშტიბის მტკნარი წყლების 25 ნიმუშში. იოდი და.რეზნიკოვას მეთოდით [8], ხოლო ქლორი მერკურომეტრული მეთოდით [1].

იოდის განსაზღვრის მეთოდი ემყარებოდა ბრომიანი წყლის საშუალებით იოდიდების იოდატებამდე დაჟანგვას და გამოყოფილი იოდის განსაზღვრას იოდომეტრიული მეთოდით:



ქლორის განსაზღვრის მეთოდი ემყარებოდა ქლორ-იონების ტიტრაციას ვერცხლისწყლის ნიტრატის ხსნარით ინდიკატორ დიფენილკარბაზონის თანაობისას. ვერცხლისწყლის იონები ტიტრაციის დროს უერთდებიან ქლორ-იონებს მცირედ დისოცირებად HgCl<sub>2</sub>-ის წარმოქმნით, ხოლო ვერცხლისწყლის ჭარბი იონები დიფენილკარბაზონთან წარმოქმნიან იისფერ კომპლექს-ნაერთებს [9].

ანალიზის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში 1.

**ცხრილი 1.** წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მტკნარ წყლებში იოდისა და ქლორის რაოდენობა ჩვენი ანალიზის მიხედვით

წყლის №	იოდის რაოდენობა მიკროგ/ლ-ში წყელიწადის დროის მიხედვით					ქლორის რაოდენობა მგექ/ლ-ში წყელიწადის დროის მიხედვით				
	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	საშუალო	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	შემოდგომა	საშუალო
1	2,4	18,5	19,4	3,2	10,8	48,6	114,5	103,4	89,8	89,0
2	1,1	11,0	9,7	12,8	8,7	8,1	23,8	31,8	23,8	11,4
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
3	0,8	5,3	5,0	8,6	3,4	37,8	53,3	64,4	59,6	21,4
4	8,2	4,1	25,0	23,5	12,0	11,8	46,1	43,7	39,7	35,2
5	7,3	3,2	9,9	0,9	5,3	44,7	61,1	57,2	52,5	53,9
6	8,9	13,2	15,0	12,8	12,4	5,0	23,8	29,4	15,9	18,5
7	5,6	16,0	13,8	12,6	12,0	25,6	44,5	41,3	44,5	38,9
8	3,2	12,6	12,0	0,9	8,5	49,9	69,9	61,8	71,8	3,0
9	2,0	2,6	24,9	15,5	11,0	37,2	55,6	54,8	47,7	48,8
10	1,4	1,2	21,0	15,8	9,8	41,8	71,5	47,7	52,5	53,4
11	8,0	14,3	17,0	1,4	10,2	29,0	46,9	39,7	96,7	53,0
12	4,3	8,7	14,9	11,7	9,9	21,6	76,3	76,3	35,7	52,9
13	13,5	3,2	7,0	4,2	4,4	20,9	46,1	36,6	32,6	34,0
14	10,3	1,6	9,7	4,1	6,4	66,8	183,6	198,0	165,4	153,4
15	1,1	4,0	2,6	1,4	2,0	43,8	73,1	57,8	60,5	59,0
16	1,8	2,9	13,0	4,4	5,7	22,9	76,3	85,1	82,7	69,0
17	6,9	10,0	12,0	3,8	7,7	16,9	34,4	50,8	51,7	38,4
18	1,9	2,5	15,0	7,4	6,7	23,6	34,2	27,0	27,0	28,0
19	0,9	2,4	2,9	3,5	2,4	79,6	115,3	97,8	82,7	93,3
20	1,3	5,4	1,2	3,8	2,9	28,3	37,2	34,9	23,8	31,0
21	1,2	1,4	11,7	2,9	4,3	36,4	40,3	39,7	22,3	34,7
22	2,3	4,4	11,0	3,8	5,4	25,0	106,5	23,8	19,8	43,3
23	1,4	3,2	9,0	4,0	4,4	23,6	33,6	27,8	30,2	28,8
24	1,0	5,3	9,7	1,4	4,0	63,5	73,9	64,4	54,1	63,9
25	1,7	2,8	4,0	3,2	3,0	34,6	54,8	58,8	134,4	76,6

თებერვალში აღებული წყლებიდან იოდი შედარებით მეტია №13 (13,5 მიკროგ/ლ) ჭის წყალში და მცირეა №19 (0,9 მიკროგ/ლ) ჭის წყალში, დანარჩენ წყლებში კი იოდის რაოდენობა მერყეობს 1,1-10,3 მიკროგ/ლ-მდე.

მაისის თვეში აღებული წყლებიდან იოდი შედარებით მეტია №1 (18,5 მიკროგ/ლ) ჭის წყალში და მცირეა №10(1,2 მიკროგ/ლ), №14 (1,6 მიკროგ/ლ) და №21 (1,4 მიკროგ/ლ) ჭის წყლებში. დანარჩენ წყლებში მერყეობს 1,4-13,2 მიკროგ/ლ-მდე.

ივლისის თვეში აღებული წყლებიდან იოდი ბევრია №4 (25,0 მიკროგ/ლ) ჭის წყალში და მცირეა №17 (1,2 მიკროგ/ლ) ჭის წყალში. დანარჩენ წყლებში იოდის რაოდენობა მერყეობს 2,6-17,0 მიკროგ/ლ-მდე.

ხოლო ოქტომბრის თვეში აღებული წყლებიდან იოდის რაოდენობა შედარებით ბევრია №4 (23,5 მიკროგ/ლ) და მცირეა №5 და №8 (0,9 მიკროგ/ლ) ჭის წყალში. დანარჩენ წყლებში იოდის რაოდენობა მერყეობს 1,4-15,5 მიკროგ/ლ-მდე.



ამრიგად, განხილული წყლებიდან იოდის შემცველობა საშუალოდ ყველაზე მეტია №4 (12,0 მიკრგ/ლ), №7 (12,0 მიკრგ/ლ) და №6 (12,4 მიკრგ/ლ) ჭის წყლებში. დანარჩენ წყლებში იოდის შემცველობა მერყეობს 2,0-11,0 მიკრგ/ლ-მდე.

თებერვლის თვეში აღებული წყლებიდან ქლორის რაოდენობა მეტია №19 ჭის წყალში (79,6 მიკრგ/ლ) და მცირეა №6 ჭის წყალში (5,0 მგ ექვ/ლ), დანარჩენ წყლებში ქლორის რაოდენობა მერყეობს 11,8-66,8 მგ ექვ/ლ-დე.

მაისის თვეში აღებული წყლებიდან ბევრია ქლორის რაოდენობა №14 ჭის წყალში (183,6 მგ ექვ/ლ) და მცირეა №2 და №6 ჭის წყლებში (23,8 მლ ექვ/ლ), დანარჩენ წყლებში ქლორის რაოდენობა მერყეობს 33,6-115,3 მგ ექვ/ლ-მდე.

ივლისის თვეში აღებული წყლებიდან ქლორის რაოდენობა მერყეობს 27,0-103,4 მგ ექვ/ლ-მდე.

ოქტომბრის თვეში ბევრია ქლორის რაოდენობა №14 ჭის წყალში და მცირეა №4 ჭის წყალში. დანარჩენ წყლებში ქლორის რაოდენობა მერყეობს 27,0-134,0 მგ ექვ/ლ-მდე.

ამრიგად, განხილული წყლებიდან ქლორის შემცველობა საშუალოდ ყველაზე მეტია №14 ჭის წყალში (153,4 მგ ექვ/ლ) და მცირეა №2 ჭის წყალში (11,4 მგ ექვ/ლ). დანარჩენ წყლებში ქლორის რაოდენობა მერყეობს 21,4-93,3 მგ ექვ/ლ-მდე.

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მტკნარ წყლებში პირველად იქნა განსაზღვრული ქლორისა და იოდის იონების შემცველობა მერკურომეტრული და რეზინკოვას მეთოდით. ანალიზის შედეგებიდან ჩანს, რომ იოდისა და ქლორის რაოდენობა ნორმის ფარგლებშია.

წელიწადის დროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იოდი უფრო მეტია ივლისის თვეში აღებულ წყლებში, რაც ჩვენი აზრით დაკავშირებულია იენის-ივლისის თვეებში მოსული უხვი ატმოსფერული ნალექების გამო ქანებში შემავალი ნივთიერებების ინტენსიურ გამორეცხვასთან.

#### ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი III; IX, თბ. 1987
2. ჩხეიძე ო. იმერეთის ფიზიკური გეოგრაფია, ტომი II, ქუთაისის 2009
3. შველაშვილი ა. ბიორგანული და ბიოფიზიკური ქიმიის შესავალი, თბ. 1998
4. დელვინი მ. ბიოქიმია კლინიკური კორელაციებით, თბ. 2000
5. პრევენცევი ი. მტკნარი წყალსატევების ჰიდროქიმია, თბ. „განათლება“, 1990
6. Виноградов А.М. Иод в природе, Академия Наук СССР, 1927
7. Бельский С.М., Лаврешкина Г.М. Минеральные воды, Москве, „Легкая и пищевая промышленность“, 1982
8. Резников Д.А., Муликовская Е.М., Соколов И.Ю. Методы анализа природных вод, М, 1970
9. Золотов Ю.А., Дорохова Е.Н., Чагеева В.И. Основы аналитической химии. Методы химического анализа, Москва, „Высшая школа“, 2004, 503 с.

## QUANTITATIVE DETERMINATION OF CHLORINE AND IODINE IN THE FRESH WATERS OF GVISHTIBI VILLAGE, TSKALTUBO DISTRICT

Manuchar Kikalishvili, Madona Kukhaleishvili  
*Akaki Tsereteli State University*

### SUMMARY

It's the first time chlorine and iodine content has been identified in twenty-five water samples according to the different times of the year in the fresh waters of Gvishtibi village, Tskaltubo district for the purpose of which there have been selected relatively simple and fast methods –mercurometric methods for chlorine and Reznikova's methods for iodine. The average chlorine content of the selected samples is the most in #14 well water (153,4 mg/l) and it's the least in #2 well water (11,4 mg/l). Chlorine ranges from 21,4 to 93,3 mg/l in the rest of the waters. Iodine content is the highest in #4 (12,0 mcg/l), #17 (12,0 mcg/l), and #6 (12,4 mcg/l) well waters. Iodine content ranges between 2,0-11,0 mcg/l. The greatest amount of chlorine and iodine is contained in spring waters because of the abundant amount of percipitation in June and July

## КОЛИЧЕСТВЕННОЕ ОПРЕДЕЛЕНИЕ ХЛОРА И ЙОДА В ПРЕСНЫХ ВОДАХ ДЕРЕВНИ ГВИШТИБИ ЦХАЛТУБСКОГО РАЙОНА

М.Кикалишвили, М.Кухалеишвили  
*Государственный университет им. А.Церетели*

### РЕЗЮМЕ

В пресных водах села Гвиштиби Цхалтубского района нами впервые было определено количество хлора и йода. Для Этого в разные времена года были взяты для исследования двадцать пять образцов воды. Количество хлора определяли простым и быстрым меркурометрическим методом, количество йода определяли методом Резникова. Самое высокое количество хлора в среднем было обнаружено в колодце №14 (153,4 мкг/л). Самое низкое – в колодце №2 (11,4 мкг/л). В водах остальных источников количество хлора колеблется от 21,4 до 93,3 мкг/л. Самое высокое содержание йода выло обнаружено в воде колодцев №4 (12,0 мкг/л), №17 (12,0 кг/л) и №6 (12,4 мкг/л), в водах остальных источников количество йода колеблется от 2,0 до 11,0 мкг/л. Самое большое количество хлора и йода обнаружено в образцах, взятых весной, что по нашему мнению связано с сезоном дождей в июне и в июле.

მოსალოდნელი „თიხაფიტალური ეპოლოგიური კატასტროფა“ და მისი პრევენციის ტექნოლოგიური ბუნი

ელენე შაფაქიძე, რაჟდენ სხვიტარიძე, ლამარა გაბუნია, იზოლდა ქაძუშაძე, იოსებ გეგვაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი*

განხილულია მდ. ღურუჯის ხეობაში მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება და მისი პრევენციის რაციონალური გზები, რაც გულისხმობს ღვარცოფის შედეგად წლების მანძილზე მილიონობით ტონა ნატანი ქანების (თიხაფიტალის ნაშლის) მაქსიმალურად უტილიზაციას, მათი სამშენებლო მასალების წარმოებაში გამოყენების მიზნით. ამ მხრივ პერსპექტიულად არის მიჩნეული მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალების და ცემენტის მინერალური დანამატის წარმოებები. ლაბორატორიულ პირობებში მდ. ღურუჯის თიხაფიტალის და ბუნებრივი მაკორექტირებელი დანამატის 1200 - 1250 °C-ზე შეცვლით მიღებულია ერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე თბოსაიზოლაციო მასალა, რომლის საექსპლუატაციო პარამეტრებია: მოცულობითი მასა – 500 - 900 კგ/მ<sup>3</sup>, სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე – 0,6 - 2,5 მგპა, წყალშთანქმა - 3,5 – 7 %, ფორიანობა - 60 – 80 %. მიმდინარეობს კვლევები ამ პარამეტრების დასახვეწად. არანაკლებ მნიშვნელოვანია მდ. ღურუჯის მიერ ჩამონატანი ნაშალი თიხაფიტალის საფუძველზე ცემენტის მინერალური დანამატის მიღება ევროსტანდარტის (EN 197-1) მიხედვით - „პორტლანდცემენტი გამოშვარი თიხაფიტალის“ საწარმოებლად, რაც აგრეთვე დამატებით ლაბორატორიულ კვლევებს საჭიროებს.

ამჟამად ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მდ. ღურუჯის მიერ ღვარცოფების შედეგად ჩამონატალი 30 მლნ. ტონაზე მეტი თიხური ფიტალის ნაგროვები (ყოველწლიური ნამატი დაახლ. 500 ათას ტონას შეადგენს) ეკოლოგიური კატასტროფით ემუქრება ადგილობრივ გარემოს და კერძოდ, ქალაქ ყვარელს, რომელიც მალალი რისკის ფაქტორის ზონაში იმყოფება.

სპეციალისტების დაკვირვებებზე დაყრდნობით, მეტ-ნაკლებად დადგენილია ის კანონზომიერება, თუ რა პერიოდულობით ყალიბდება კატასტროფული ღვარცოფული ნაკადები მდინარე ღურუჯის ზედა კალაპოტში. ეს პერიოდი საშუალოდ 12- 14 წელიწადს შეადგენს. ასეთ დროს ქვატალახოვანი ნაკადი სავსეა დიდი ზომის ლოდებით, რომლებიც ღვარცოფის მოვარდნის პროცესში მალალი სიჩქარით (80 - 100 კმ/სთ) მოძრაობენ და ადვილად ძლევენ და ანადგურებენ ნებისმიერ წინააღმდეგობას.

ქართველი მეცნიერების მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად გაკეთებულია პროგნოზი ღურუჯის ხეობაში მზის აქტიურობასთან დაკავშირებით ეროზიულ-მეწყერული პროცესებისა [1].

დაკვირვების ბოლო 100 წლის განმავლობაში (1899-1999 წ.წ.) ღურუჯის ხეობაში ღვარცოფული ნაკადის მოვარდნის შემთხვევები დაფიქსირდა 40-ჯერ.

მდ. ღურუჯმა პირველად ყვარელი დაანგრია 1832 წელს. შემდეგ 1904 წელს, ღვარცოფულმა ნაკადმა მთელი ქალაქი წალეკა და ადამიანთა და შინაური პირუტყვის დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით 1906 წელს მდინარეზე დამცავი ნაგებობები ააშენეს. იგი გარკვეული პერიოდი იცავდა ქალაქს. კიდევ ერთი კატასტროფა 1949 წელს მოხდა, როდესაც ადიდებულმა ღურუჯმა 200-მდე ადამიანი ცოცხლად დამარხა ქვატალახოვან მასაში.

ამის შემდეგ კვლავ აიგო 6,5 კმ სიგრძის დამცავი დამბა, რომელმაც ქალაქი დაიცვა მძლავრი ღვარცოფული პროცესებისაგან, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი მწყობრიდან გამოვიდა და ნაწილობრივ დაინგრა. ამჟამად, დამცავი დამბის მონაკვეთი ამორტიზირებულია და ყვარელისთვის საშიშ დონეზე - ქალაქის ნიშნულზე 8 -10 მეტრით მაღლაა აწეული.

ამჟამად ყვარელის ტერიტორია და მდინარე ღურუჯის ხეობა საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონად არის გამოცხადებული, შემუშავებულია მრავალი კონსტრუქციული პროექტი და წინადადება ახალი დამცავი ნაგებობის აშენებაზე.

ჩვენი აზრით, საინჟინრო ღონისძიებები, რომლებმაც XIX – XX საუკუნეებში ნაწილობრივ მაინც შეასრულეს თავისი დანიშნულება, XXI საუკუნეში საკმარისი აღარაა ღურუჯი-ყვარელის პრობლემის პრევენციისათვის. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში დაგროვილ 30 მლნ. ტონაზე მეტ თიხაფიტალურ ნატანს რა ვუყოთ? სად წავიღოთ? საგარაულო ღვარცოფის მოვარდნის შემთხვევაში ეს დაგროვილი 30 მლნ. ტონა მასაც ხომ ამოძრავდება? ამიტომ, ღვარცოფის შედეგების პრევენციის და რეგიონში ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის მიზნით, უპირველესად საჭიროა და აუცილებელია დაგროვილი

თიხაფიქალური მასის გატანა ქ. ყვარელის ზემოთა ღურუჯის ხეობიდან, ეს კი წარმოქმნის მეორე პრობლემას: - სად წავიღოთ გატანილი მასა? პასუხი ტექნოლოგიურია: **რადგან ერთხელ უკვე დაიტვირთა თვითმცლელის მარაზე, იგი მიტანილი და დაცლილი უნდა იყოს რომელიმე ისეთ საწარმოში, სადაც მზადდება საშენი მასალები!** აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიების აქტივობა ჩამონატანი ქანების უტილიზაციის მიმართულებით უნდა განვითარდეს. აქ კი სასაპარეზოდ დიდი არეალია გამოყოფილი. საქმე იმაშია, რომ მდ.ღურუჯის მიერ ჩამონატანი კლდოვანი ქანები წარმოადგენს თიხაფიქალების ნაშალს, ანუ ეს არის პოტენციურად სასარგებლო ე.წ. „ეკოგენური“ ნედლეული მასალის ბუნებრივი ნაყარ-საცავი, რომლის რაციონალური გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მრავალი სახეობის პროდუქცია ვაწარმოოთ მოსალოდნელი საგრძნობი ეკონომიკური ეფექტით, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკოლოგიურ მიზანშეწონილობაზე.

სხვადასხვა წლებში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგენილია, რომ თიხაფიქალები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

თიხაფიქალების გამოყენების სავარაუდო მიმართულებებია:

- სოფლის მეურნეობა: სასუქის სახით, განსაკუთებით ეფექტიურია მევენახეობაში, გამოიყენება წმინდა ფრაქცია (ლამი);
- მინის და მინანქრის მრეწველობა: სატარე მინის დამხმარე ნედლეულის სახით, სხმული მინისა და მინა-სიტალების ნაკეთობების; ტექნიკური საგრუნტე და საფარი, მათ შორის, ანტიკოროზიული ემალების წარმოებაში;
- კერამიკული მრეწველობა: აგურის, კრამიტის, მოსაპირკეთებელი ფილების და სხვათა საწარმოებლად;
- ცემენტის წარმოება: როგორც ცემენტის ნედლეულის კაზმის კომპონენტი, ასევე, როგორც მინერალური დანამატი ცემენტის დაფქვის დროს;
- სამშენებლო მასალების წარმოება: სხვადასხვა სახის აფუებული მასალების მისაღებად, ბეტონის მსუბუქი შემავსებლის (კერამიზიტი, შუნგიზიტი) და მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალების საწარმოებლად.

მიუხედავად ჩამონატალის მრავალფეროვნებისა, დღემდე არ ხდება ხსენებული თიხაფიქალების სამრეწველო გადაამუშავება ამა თუ იმ მიმართულებით და საკითხი ერთ ადგილზეა შეჩერებული, ხოლო ქ. ყვარელი მორიგი ეკოლოგიური კატასტროფის მოლოდინშია.

ჩვენი აზრით, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ მიმართულებებზე, რომლებიც ამჟამად ყველაზე მოთხოვნადია საქართველოში და რომელთა ინფრასტრუქტურა განვითარებულია. ამავე დროს, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ტექნოლოგიები უფრო მარტივი, იაფი და შედეგზე მეტად ორიენტირებული უნდა იყოს. ამ მხრივ პერსპექტიულად მიგვაჩნია მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალების და ცემენტის წარმოებები.

თავის დროზე, ენერგომატარებლებზე არსებულმა დაბალმა ფასებმა განაპირობა შენობების სითბოდაცვითი თვისებების უგულვებელყოფა, რის გამოც გაიზარდა ენერგომომხმარება შენობების გათბობაზე. გაზზე და ელექტროენერჯაზე ფასების არნახულმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა შენობების დათბობის საკითხი, როგორც ეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებშია დაწინაურებული. ამ პრობლემის დაძლევის ერთგვარად ხელს შეუწყობს ახალი მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალების (ფილების, ბლოკების, შემავსებლების) წარმოება ადგილობრივი ბუნებრივი ნედლეულის გამოყენებით.

თიხაფიქალების თვისება – მაღალტემპერატურულ ინტერვალში თვითაფუების უნარი, დაელო საფუძვლად მათგან ფოროვანი თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგიას, რომლის მეშვეობით მიღებული თბოსაიზოლაციო მასალა გამოირჩევა დაბალი თბოგამტარობით, მცირე წყალშთანთქმით, მექანიკური და ბიოლოგიური მედეგობით, ხანმედეგობით და რაც მთავარია, ცეცხლმედეგობით. ეს საშუალებას იძლევა მასალა გამოყენებული იქნას მშენებლობაში მსუბუქი ტიხრების მოსაწყობად, კარკასული კონსტრუქციების შესავსებად, კედლების დასათბობად, იატაკისა და სართულშორისი გადახურვების თბოიზოლაციისათვის, მასალის ნარჩენები (ფილების ჩამონახერხი) კი – ბეტონის მსუბუქ შემავსებლად და თბოსაიზოლაციო ღორღის სახით სართულთაშორის გადახურვებში.

სამუშაო ჩატარებულია ლაბორატორიული კვლევის დონეზე: მდ. ღურუჯის თიხაფიქალის და ბუნებრივი მაკორექტირებელი დანამატის 1200 - 1250 °C-ზე შეცხობით მიღებულია ერთგვაროვანი სტრუქტურის მქონე მასალა, რომლის საექსპლოატაციო პარამეტრებია: მოცულობითი მასა – 500 - 900 კგ/მ<sup>3</sup>, სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე – 0,6 - 2,5 მგპა, წყალშთანთქმა - 3,5 - 7 %, ფორიანობა - 60 - 80 % [2,3].

ცნობილია ღურუჯის თიხაფიქლისაგან თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ალტერნატიული ტექნოლოგიაც [4].

2006 წ. სატატიის ავტორების მიერ შედგენილი იქნა ბიზნეს-გეგმა მდ. ღურუჯის თიხაფიქლებისგან მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალის წარმოების ტექნოლოგიური ხაზის ორგანიზება-გამართვის თაობაზე. ბიზნეს-გეგმა შედგენილია საწვავზე და ელექტროენერგიაზე ძველი ფასებიდან გამომდინარე და ყოფილი საბჭოთა დანადგარების გამოყენებით, რაც ეხლა მოძველებულად გვესახება, ამიტომ ის აქ არ მოგვეყვას სრულად. წარმოადგენთ მხოლოდ ზოგიერთ მონაცემს:

1728 მ<sup>2</sup> ფართის შენობის ასაგებად და საჭირო დანადგარებით უზრუნველსაყოფად, საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად, ასევე საკონტროლო ლაბორატორიული და საწარმოო გამოცდების ჩასატარებლად, გათვალისწინებული იყო 535 000 აშშ დოლარი. ასეთი მინი-ქარხნის მუშაობა უზრუნველყოფდა თბოსაიზოლაციო მასალის წარმოებას 5 სმ-იანი სისქის ფილის სახით 5 მ<sup>3</sup>/დღე-ღამეში ოდენობით (100 მ<sup>2</sup>), რაც წლიურად შეადგენს 1650 მ<sup>3</sup> (5 X 330 დღ.) = 33 000 მ<sup>3</sup>/წ.

სათანადო უწყებების დაინტერესების შემთხვევაში უნდა შედგეს ახალი ბიზნეს-გეგმა ახალი ფასებისა და ასაშენებელი ქარხნის სიმძლავრის გათვალისწინებით.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით საქართველოში საფუძველი ჩაეყრება ახალი ხანძარმდეგი, უკუპობადი, ხანმდეგი, ეკოლოგიურად სუფთა მსუბუქი თბოსაიზოლაციო მასალის წარმოებას, რაც განაპირობებს მისგან ცეცხლგამძლე კონსტრუქციების და სეისმომდეგი ნაგებობების აშენების შესაძლებლობას და საგრძნობლად შეამცირებს მათ გასათბობად დახარჯულ ენერგიას.

ღურუჯის თიხაფიქლების საფუძველზე თბოსაიზოლაციო მასალების მიღების ტექნოლოგიის დასახვეწად თსუ-ს კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ამჟამადც მიმდინარეობს ლაბორატორიული კვლევები. [5]

მდ. ღურუჯის მიერ ჩამონატანი ნაშალი თიხაფიქლების სამრეწველო გამოყენების მეორე მნიშვნელოვან მიმართულებად გვესახება თიხაფიქლების საფუძველზე ცემენტის მინერალური დანამატის მიღება ევროსტანდარტის (EN 197-1) მიხედვით - „პორტლანდცემენტი გამომწვარი თიხაფიქლებით“ საწარმოებლად.

რიგ მიზეზთა გამო, 20 წელზე მეტია, რაც საქართველოს ცემენტის ქარხნები განიცდიან სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მინერალური დანამატების დეფიციტს. ეს მათ აიძულებს გამოიყენონ არაკონდიციური მასალები, ან განახორციელონ მინერალური დანამატების იმპორტი რაც, საბოლოოდ იწვევს ან ცემენტის ხარისხის გაუარესებას, ან ძვირადღირებული კლინკერის ხარჯის გაზრდას, პროდუქციის თვითღირებულების ზრდას და ამცირებს ბაზარზე კონკურენტუნარიანობას, მეზობელი ქვეყნებიდან იმპორტირებულთან შედარებით.

ევროპულ ქვეყნებში დიდი ხანია იყენებენ გამომწვარ თიხაფიქლებს პორტლანდცემენტის მინერალურ დანამატად: 6-დან 20 %-მდე CEM II/A-T-ის და 21-დან 35 %-მდე - CEM II/B-T-ის საწარმოებლად. ევროპული ტექნოლოგიით თიხაფიქლების წინასწარი გამოწვა დაახლოებით 800°C ტემპერატურაზე წარმოებს და მიიღება მასალა, რომელიც მაღალი პუცოლანური თვისებებით ხასიათდება, სავარაუდოდ თიხაფიქლების შემადგენლობაში არსებული კაჟმიწისა და თიხამიწის გააქტიურების ხარჯზე.

თიხაფიქლების დიდი ბუნებრივი ნაგროვების არსებობის პირობებში, რასაც მდ. ღურუჯის ხეობა წარმოადგენს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი შესწავლა ცემენტში მინერალურ დანამატად გამოყენების მიზნით.

აღნიშნული მიმართულებით წლების განმავლობაში ქართველი სპეციალისტების მიერ. ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარებულია გარკვეული წინასწარი სამეცნიერო და საწარმო-პრაქტიკული სამუშაოები, რომლებიც საჭიროებენ გაგრძელებას [6].

ჩვენი აზრით, გამომწვარი თიხაფიქლიანი ცემენტების ფართოდ დასანერგად წარმოებაში საჭიროა დამატებითი კვლევების ჩატარება გარკვეული მიმართულებით, კერძოდ:

– დადგინდეს ფიქლების გამოწვის ისეთი ტემპერატურული ინტერვალი, რომლის ფარგლებში მოცემულ მინერალურ დანამატს კირის შთანთქმის მხრივ, მაქსიმალური აქტიურობა გააჩნია;

– შეირჩეს დანამატის ოპტიმალური რაოდენობა 6-35% ფარგლებში, რომლის დროსაც მიიღწევა ცემენტის მაქსიმალური სიმტკიცე და არ დაირღვევა ცემენტის ქვის გაფართოების თანაბარზომიერება.

– შეირჩეს ცემენტის დაფქვის ერთობლივი ან განცალკევებული მეთოდებიდან უპირატესი.

ამრიგად, პერსპექტივაში თიხაფიქლების სამრეწველო მასშტაბით მოხმარების პირობებში, გადაწყდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა: მაღალი რისკის მქონე რეგიონი გაიწმინდება

პოტენციურად საშიში ბუნებრივი ნარჩენებისგან, მშენებლობა უზრუნველყოფილი იქნება ხარისხიანი და ეკოლოგიურად უსაფრთხო თბოსაიზოლაციო მასალით და EN197-1 ევროსტანდარტის შესაბამისი პორტლანდ- და კომპოზიტური ცემენტით, დაიზოგება ენერგო- და თბორესურსები შენობების გასათბობად, რაც, თავის მხრივ, გარდა ეკონომიკური შედეგისა, ეკოლოგიურადაც მნიშვნელოვანია მსოფლიო გლობალური დათბობის ფონზე.

**ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Г.В. Гавардашвили. Эрозионно-селевые процессы и солнечная активность. ж. „Экологические системы и приборы“, Москва, 2007, №3, стр. 46–49.
2. საქართველოს პატენტი გამოგონებაზე 3382 „ნედლეულის კაზმი ფოროვანი მასალის მისაღებად“. ნ.გაბუნია, ლ.გაბუნია, ც.ნაფეტვარიძე, ი.ქაბუშაძე, 2004, 11.25. №22, „საქპატენტი“.
3. ნ.გაბუნია, ც.ნაფეტვარიძე, ლ.გაბუნია, ი.ქაბუშაძე. შემსუბუქებული თბოსაიზოლაციო მასალები ადგილობრივი ქანების საფუძველზე. სტუ-ს შრომები, თბილისი, №4(458), 2005, გვ. 37–38.
4. საქართველოს პატენტი სასარგებლო მოდელზე №118, С 04В, 33, 00, 1996. შ.ლომიძე, ა.საკანდელიძე და სხვ.
5. ლ. გაბუნია, ი. ქაბუშაძე, ე. შაფაქიძე, ი. გევაძე, რ. კვატაშიძე. აფუებული მასალების მიღება ადგილობრივი მაგმატური ქანების გამოყენებით. ჟ. „კერამიკა“, თბილისი, 2011, №2(25), გვ. 3–5.
6. А.Д.Мирианашвили, Л.Койвунен, Т.Г. Долидзе, Р. Е. Схвитаридзе. Экономическая целесообразность применения Кварельских сланцев и промышленных отходов г. Рустави в производстве строительных материалов. სამთო ჟურნალი, თბილისი, 2002, №1(8), გვ. 52–55.

**EXPECTED "CLAY-SLATE DISASTER" AND TECHNOLOGICAL WAYS OF ITS PREVENTION**

E.Shapakidze, V.Sxvitaridze, L.Gabunia, I.Kamushadze, I.Gejadze  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*  
*Caucasian Alexander Tvalchrelidze Institute of Mineral Resources*

**SUMMARY**

Danger of the expected ecological disaster in the river Duruji gorge and rational ways of avoiding it are discussed, which means maximal utilization of millions of ton of river load (decomposed clay-slates) accumulated because of mudflow for many years and using them in producing building materials. For this reason the most perspective is producing heat-insulating materials and mineral additives of cement. In the laboratory conditions, by sintering of clay-slates of the river Duruji and natural correcting additive at 1200-1250<sup>0</sup>C temperature, light heat-insulating material of homogenous structure is produced with the following parameters: volume weight – 500 - 900 kg/m<sup>3</sup>, ultimate compression strength – 0.6 – 2.5 MPa, water absorption- 3.5 – 7 %, porosity - 60 – 80 %. Researches are being conducted for improvement these parameters. Not least important is producing mineral additives for cement by European standard (EN 197-1) on the basis of the falling rocks of mudflows of the river Duruji – for producing “Port land cement with burned clay-slates”, which needs additional laboratory researches.

**ОЖИДАЕМАЯ "ГЛИНИСТО-СЛАНЦЕВАЯ КАТАСТРОФА" И ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ ПУТИ ЕЕ ПРЕВЕНЦИИ**

Е.В.Шапакидзе, Р.Е.Схвитаридзе, Л.В.Габуня, И.Г.Камушадзе, И. В.Геджадзе  
*Тбилисский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили*  
*Кавказский Институт Минерального Сырья им. Александра Твалчрелидзе*

**РЕЗЮМЕ**

Отмечена опасность экологической катастрофы в ущелье р. Дуруджи и рациональные пути ее предупреждения, что подразумевает максимальную утилизацию миллионов тонн горных пород (глинистых сланцев), нанесенных селево-грязевыми потоками, с целью их использования в производстве строительных материалов. С этой точки зрения более перспективным можно считать производство легких теплоизоляционных материалов и минеральной добавки для цемента. В лабораторных условиях спеканием глинистых сланцев и корректирующей добавки при температуре 1250<sup>0</sup>С получен пористый теплоизоляционный материал однородной структуры, с эксплуатационными параметрами: объемная масса - 500-900 кг/м<sup>3</sup>, прочность на сжатие - 0.6-2.5 МПа, водопоглощение 3.5-7%, пористость - 60-80%. Исследования по оптимизации этих параметров продолжаются. Не менее важно получение минеральной добавки к цементу на основе глинистых сланцев р. Дуруджи для производства "Портландцемента с обожженным сланцем" по требованиям евростандарта (EN 197-1), что также требует дополнительных исследований.

**PROSPECTIVE PREPARATIVE FORMS OF ANTIOXIDANTS FROM UNRIPE GREEN FRUITS OF HAZELNUT**

A.Dolidze, Z.Alavidze\*, M.Goderdzishvili\*, I.Mikadze, N.Kavtaradze, L.Dolidze

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

*of Iv. Javakishvili Tbilisi State University*

*\*G. Eliava Institute of Bacteriophage, Microbiology and Virology*

Plant extracts are the main source of antioxidants. Unripe green hazelnuts have not been yet used for extraction of antioxidants mixture. The gathering of unripe green hazelnut fruits, reprocessing with extracting of antioxidant concentrates and elaboration of different preparative forms on their basis is proposed. Expansion of the raw material base for antioxidant preparations promotes improvement of health and living standards of population.

The significance of antioxidants in environment is well-known. Plant extracts are the main source of antioxidants. Important properties and economical value of the hazelnuts have specified wide spread of their plantations. Unripe green hazelnuts have not been yet used for extraction of antioxidants (vitamin C, bioflavonoid and etc.) mixture. At the same time, it is known, that there are lots of vitamins, microelements and different antioxidants, as well as multifunctional compounds in unripe green fruits of hazelnuts.

The species of Hazelnut (*Corylus*) belongs to the family of *Betuceae*. Growing wild plants of this species often called as hazelnut fruit, but cultural as filbert. The worldwide production of filbert annually is about 200-250 tonnes, approximately 50% of it is produced in Turkey. Azerbaijan and Georgia play leading role in producing hazelnut in former Soviet Union. The kernel of a nut contains 72% oil, 20% protein and about 8% carbohydrate, 2-3% mineral salt and some vitamins as well. The culture lives near 100 years, fructification is in 4-5 years after planting. After harvest it is kept for 2-3 days in shelter and it is usually dried in the sun. After fruits are ready for prolonged storage. The hazelnut fruit are usually kept at 3-10°C in the dry place during the year or in the refrigerator at 0° C for 4 years. Generally hazelnut yield is 2-3 tonnes of hazelnut per hectare.

Researches concerning antioxidant content in the foodstuff were carried out at Boston university USA. Antioxidant content in the spices is high, less in the beans and hazelnut fruits. It is significant to indicate that antioxidant ability to convert into grams of walnut and hazelnut are the similar.

Antioxidant set in the plants is richer than in the tissues of animals and human beings. Along with vitamin C and E the plants contain carotinoides and flavonoides as well (phytoestrogen or polyphenol). Flavonoides are characterized with strong antioxidant qualities. They keep vitamin C and E in active condition and protect from destruction. The issue to fight against free radicals is the subject for all plants. All extracts are characterized with antioxidant quality. Although there are some plants that contain the most successful antioxidant mixtures.

The producers interest is rising in view of the natural antioxidants. Nevertheless, chemists make an attempt to synthesis new antioxidants or modify structure of natural ones. However, the quota of synthetic antioxidants is insignificantly. The extracts of pine cortex, red grapes, horse-chestnut, sea-buckthorn, green tea, rosemary and etc are often used as a source of antioxidants. The manufacture interest requires expansion of base for obtaining antioxidant on the basis of vegetable raw materials, especially hazelnut. Antioxidants are most effective in sufficiently low concentrations. The hazelnut for a long time is used as restorative and pyretic in folk medicine, regulates metabolism, assists cholesterol level reduction, strengthen cardiac muscles and improve circulation of the blood. They are useful in case of anemia. Hazelnut fruits are effective remedy for tiredness removal, are used in sportsmen's diets, are recommended for insertion in food allowance in cases of urolithiasis, rheumatism, burns, hair falling out and etc.

There are lots of vitamins E, B, B<sub>2</sub>, C, as well as potassium, calcium, phosphorus, iron, selenium and etc. It contains substances conducive liver abluion from scoria and immunity restorative matters. There is also detected the substances that depresses cancerous cells.

Vitamin E ( $\alpha$ -tocopherol) is liposoluble antioxidant (so-called youth vitamin). In organism it works together with ascorbic acid, catches free radicals, stops peroxidation chain reactions. Vitamin C (ascorbic acid), water-soluble antioxidant, protects various biological active compounds from oxidation, including vitamin E. Bioflavonoids (plant polyphenols) are plant origin, their structure looks like human estrogen (called phytoestrogen). In plants bioflavonoids produce antioxidant mixtures, that displays synergism of action. The own flavonoid composition exists in various plants. They define medicinal properties of extracts. Resveratrol (3,5,4-trihydrostilben), phytoalexin is synthesized in different plants (pine-tree, vine, hazelnut and etc.). It is fat regulator, joins and removes free radicals from organisms and etc.

It is well known that imbalance of redox reaction initiates free radicals that causes oxidative stress. This factor causes maturation of different pathologies: infectious, inflammatory, burn, allergy, pain, fever, radiation injury and others [1-4]. Lipid peroxidation is one of the ways for producing free radicals in vivo. That is regular metabolic process, that is expanded practically in every organs and tissues.  $Fe^{+2}$  is the strong catalyst for lipid peroxidation, reacts with hydro peroxides, as a result their decomposition takes place and new chains of radicals are formed. It is well known polyunsaturated fatty acids in lipids contain methyl groups that are oxidized simply as by auto-oxidation as well as by enzymatic. Hydro peroxides are obtained in both cases according [5]. The generation of different radicals via membrane-combined enzymes should be noted particularly. The different type abnormalities are connected with such structures, that are formed due to influence on organism, namely on membranes as a result of various physical and chemical factors. Mitochondrion during oxidation by different substrate forms super oxide anion and hydrogen peroxide. This rapid oxidation is the initial stage of immune response. Neitrophyles have the same ability. Flavin nucleotide dependent oxygenases of blood participate in this process that is usually destroys foreign cells as bacterial, viral or metastases intruded into organism [6].

Application of bioflavonoides in the applied sciences such as biology and medicine becomes topical. Bioflavonoides are the vegetative biologically active compounds and can be used to produce preventive medicinal preparations against inflammatory processes [7-8]. As opposed to synthetic preparations they are characterized with wide action spectrum, are non toxic, do not have any side effects and contraindication. It should be noted that the scientists have investigated only 10% of the vegetative world with the object to search biologically active compounds [9]. Flavonoides easily take part into biological redox processes and therefore presents effective catalyst for electron transferring reactions. It indicates that their physiological standard potentials are localized in the biochemically active redox couple and that the activation energy of gain and loss of an electron is quite low. Flavonoides generally are inactivated after oxidation and easily lose the electron than gain one. Accordingly large quantities of flavonoides is consumed to capture omnipresent active form of oxygen. In this connection protection of biological oxidants is the one of the important functions of flavonoides (for example ascorbic acid) [10]. Recently flavonoides inhibit ability towards enzyme systems were discovered, such are cyclo oxygenase, lipoxygenase NADPH-oxidase and others [11-14].

These enzymes are characterized with redox activity and play a great role as inflammatory mediators. They are involved in the process of conversion of polyunsaturated fatty acids, especially arachidonic acid. This is the initial stage in formation of cell inflammatory response. Two isomers of enzyme cyclooxygenase are known: cyclooxygenase 1 and 2. Cyclooxygenase 1 is permanently synthesized in the organism and along with other processes participates in the organism reducing processes while cyclooxygenase 2 is only released during inflammatory processes. As a result toxic products for organism are produced. Acetylsalicylic acid (aspirin) inhibits the both isomers of this enzyme and correspondingly high dose causes serious side effects such as bleeding, decreasing lymphocyte activity, neural disorder. In comparison with it alternative means flavonoides directly inhibit only cyclooxygenase 2 activity and those processes that cause allergic and inflammatory reactions. Prostaglandins and eicosanoids play signal compound role in case of pain, chemotaxis and clonuses. Some flavonoides can: stimulate macrophages; stop subsequent formation of eicosanoids; destroy oxidative compounds and provide recovery of inflamed tissue to the normal condition.



It is quite perspective to employ flavonoids in combination with other preparations to prevent and treat different pathological infectious and oxidative processes [15]. Hence, during developing inflammatory processes in the organism caused by oxidative stress, the employment of flavonoids has a great perspective as preventive and medicinal means.

Improvement of health of the population can be reached by means of expansion of the base of vegetative raw materials for obtaining of effective antioxidant preparations. Effective preparative forms of antioxidant connections from unripe green fruits of hazelnut. Such vegetative raw materials are applied for the first time to manufacturing of antioxidant preparations. Selection of system of solvents and optimum conditions if reception of various biologically active fractions will allow to define the maintenance of target connections in green fruits of hazelnut and to plan rational use of all volume of raw materials. The further characteristics of separate fractions, definition of influence on processes of oxidizing stress, research influence on physiological functions of organisms, definition biophysical, biochemical, microbiological, immunological parameters, definition of pharmacological properties becomes a basis of rational reception of treatment-prophylactic means and their application.

The combination of vitamins, bioflavonoids as well as various biologically active substances is perspective for definition of new valuable properties of natural mixes of these substances, basically antioxidants. Working-out of effective preparative forms of medical appointment on the basis of allocated vegetative extracts is expected. The developed method is a waste-free, all crop of unpolluted unripe green fruits of a hazelnut is used, thus, problems of storage and processing of an unsuitable shell disappear.

Realization of proposed method will permit expand source of raw materials for getting of phyto-genous antioxidants, together with subsequent production of effective preparations for medical purpose. Plant raw materials without content of mycotoxin as well as without negative impact on environment ensure the obtaining of medical products without side effects.

